სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/33

ქ. თბილისი 21 ივნისი 2023

სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი ქრისტიანული ანთროპოლოგიის და ფსიქოლოგიის სამეცნიერო ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 6 ივნისის №01-05-04/82 დადგენილებისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 21 ივნისის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. შეიქმნას სსიპ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან არსებული თვითდაფინანსების პრინციპით მოქმედი ქრისტიანული ანთროპოლოგიის და ფსიქოლოგიის სამეცნიერო ცენტრი და დამტკიცდეს მისი დებულება (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**